ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

მსოფლიოს სოციალურ-პოლიტიკური და ტურიზმის გეოგრაფია

ნინო ბურკვაძე

ირლანდიის კომპლექსური საზოგადოებრივ-გეოგრაფიული დახასიათება

ნაშრომი შესრულებულია მსოფლიოს სოციალურ-პოლიტიკური და ტურიზმის გეოგრაფიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ვალერიან მელიქიძე

გეოგრაფიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2023

ანოტაცია

მიმდინარე ნაშრომში განხილულია ირლანდიის გეოგრაფიული დახასიათება, მდებარეობა, ძირითადი თავისებურებები და ქვეყნის ფორმირების განვითარების ეტაპები. ამას გარდა წარმოდგენილია ბუნებრივი რესურსების მიმოხილვაც. მიმდინარე ნაშრომში, გაანალიზებულია, ირლანდიის მოსახლეობის სამომავლო დინამიკისა და ტენდენციების მიმოხილვაც, პანდემიის გავლენა და შედეგები მოსახლეობაზე. ასევე გავეცნობით ირლანდიის მოსახლეობის, მიგრაციის ძირითად ტენდენციებს და გამოწვევ მიზეზებს. მიმოხილულია მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, დემოგრაფიული დატვირთვა, ლინგვისტური და ეთნიკური მახასიათებლბები. განხილული თემებიდან შეგვიძლია დავასკვნათ ეკონომიკური დონე ირლანდიაში, დასაქმების ტენდენციები და მშპს მოცულობა.

მიმდინარე ნაშრომის ძირითადი ინფორმაციული ბაზა შეიქმნა საერთაშორისო ორგანიზაციების, პუბლიკაციების, კვლევების, სამეცნიერო ნაშრომებისა და ელექტრონული წყაროების გამოყენებით. გამოყენებულია რუკები, სქემატური მოდელები.

სარჩევი|

შესავალი..... 4

ქვეყნის ორგანიზაცია და მართვა 5

1.1 ქვეყნის ფორმირების ისტორია 5

1.2 ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა..... 6

1.3 სახელმწიფო მოწყობა..... 6

1.4 სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე 7

ქვეყნის ბუნებრივი რესურსების და პირობების სამეურნეო შეფასება..... 8

მოსახლეობა 9

3.1 მოსახლეობის რაოდენობის დინამიკა..... 9

3.2 მოსახლეობის ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობის მაჩვენებლები..... 11

3.3 საგარეო მიგრაციის სალდო..... 12

3.4 მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის მოკლე დახასიათება..... 13

3.5 მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა 13

3.6 დასაქმების სტრუქტურა..... 14

3.7 მოსახლეობის ეთნო-ლინგვისტური და რელიგიური შემადგენლობა..... 15

3.8 ურბანიზაცია და დიდი ქალაქები..... 16

4. მეურნეობის ზოგადი მიმოხილვა..... 18

4.1 შესავალი..... 18

4.2 ირლანდიის მეურნეობის განვითარების ძირითადი ტრენდები 19

4.3 მშპ-ს ფორმიმრება და სტრუქტურა 21

მეურნეობის სექტორული ანალიზი..... 23

5.1. პირველადი სექტორი..... 24

5.2. მეორადი სექტორები 26

5.3 მესამეული/მეოთხეული სექტორი..... 27

ქვეყნის ადგილი გლობალურ სისტემებში და სტრუქტურებში 29

შესავალი



ირლანდია, ასევე ცნობილი, როგორც ირლანდიის რესპუბლიკა, კუნძულოვანი ქვეყანაა, რომელიც ამავე სახელწოდების კუნძულზე მდებარეობს და ერთ-ერთია ევროპის ჩრდილო დასავლეთ ქვეყნებს შორის. ქვეყნის ფართობი 70,273 კმ-ია. ირლანდიას მხოლოდ ჩრდილოეთ ირლანდია ესაზღვრება, რომელიც დიდი ბრიტანეთის ნაწილია, სხვა მხრიდან კი წყლით არის გარშემორტყმული. დასავლეთიდან მას ატლანტის ოკეანე აკრავს ირგვლივ, სამხრეთ ნაწილში კელტების ზღვით შემოიფარგლება, ხოლო აღმოსავლეთით - ირლანდიის ზღვით. რაც შეეხება სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს - გიორგის სრუტით გამოიყოფა. ირლანდიის გეოგრაფიული მდებარეობა მას ეხმარება კულტურისა და ტრადიციების განვითარებაში. მდიდარია მდინარეებით, ტბებით. ცნობილია თავისი თვალწარმტაცი ბუნებითა და პეიზაჟებით.

დუბლინი, ირლანდიის დედაქალაქი და ქვეყნის უდიდესი ქალაქია. ამას გარდა სხვა მნიშვნელოვანი ქალაქები ირლანდიაში არის როკი, ლიმერიკი, გალოევი… ამჟამინდელი მონაცემებით, ირლანდიის მოსახლეობა 5, 102, 41-ს შეადგენს (Ireland, 2023). ძირითად ნაწილს ირლანდიელები შეადგენენ, ხოლო უმცირესი ნაწილი მოსახლეობისა სხვა ეროვნებას მიეკუთვნება. ირლანდიის რესპუბლიკაში ოფიციალური ენებია: ირლანდიური და ინგლისური. მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური სტატუსით უმეტესად ირლანდიური ენა არის მოწინავე, მაინც ინგლისურია ფართოდ გავრცელებული და გამოიყენება ყოველდღიურ საუბრებში. ქვეყანაში მოქმედებს მრავალპარტიული პოლიტიკური სისტემა. ირლანდია საპარლამენტო მოწყობის ქვეყანაა, რომელსაც ყავს პრეზიდენტი - სახელმწიფოს მეთაური, და პრემიერი - მთავრობის მეთაური. ირლანდიის რესპუბლიკამ დამოუკიდებლობა 1922 წელს მოიპოვა და მას შემდეგ დაიწყო ეკონომიკური

განვითარება. დღესდღეობით ირლანდიას თანამედროვე და განვითარებული ეკონომიკა აქვს. ის ერთ-ერთი წამყვანია ტექნოლოგიურ, ფარმაცევტულ, სოფლის მეურნეობის სფეროებში.

ქვეყნის ორგანიზაცია და მართვა

1.1 ქვეყნის ფორმირების ისტორია

არსებულ ფაქტებზე დაყრდნობით, 1921 წელს, ომის შემდეგ, ხელი მოეწერა ინგლისსა და ირლანდიას შორის ხელშეკრულებას, (ანგლო-ირლანდიური ხელშეკრულება) რომლის შედეგად, ირლანდია დამოიკუდებელი სახელწმიფო გახდა და ჩამოყალიბდა, ირლანდიის დამოუკიდებელი რესპუბლიკა. ანგლო-ირლანდიური ხელშეკრულების მიხედვით ჩრდილოეთ ირლანდია შედგებოდა 6 ერთეულისგან, რომელთა უმეტესი ნაწილი მოსახლეობისა იყო პროტესტანტები. 1937 წელს ირლანდიამ მიიღო ახალი კონსტიტუცია და თავი სუვერენულ სახელმწიფოდ გამოაცხადა, ამის მიუხედავად 1949 წლამდე მან შეინარჩუნა სტატუსი ბრიტანეთის თანამეგობრობასთან, მას შემდეგ რაც ირლანდიას ოფიციალურად მიენიჭა ირლანდიის რესპუბლიკის სტატუსი, მან გაწყვიტა დარჩენილი

ირლანდიის პოლიტიკური რუკა

ირლანდიის ფიზიკური რუკა

კავშირებიც ბრიტანეთის მონარქიასთან. თანამედროვეობაში ირლანდია ცნობილია, როგორც ირლანდიის რესპუბლიკა, როგორც სუვერენული სახელმწიფო. ის ევროკავშირის

წევრი ქვეყანაა. დიდი პარასკევის შეთანხმება დღემდე მნიშვნელოვანია ირლანდიისთვის, სიმშვიდისა და სტაბილურობის შესანარჩუნებლად.

1.2 ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა

ირლანდიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა ეფუძნება საგრაფოებსა და რეგიონალური ხელისუფლების სისტემას, ირლანდიის რესპუბლიკა 26 საგრაფოსგან შედგება. თითოეულ საგრაფოს აქვს საკუთარი ადგილობრივი მმართველობის სტრუქტურა და პასუხისმგებელია, სხვადასხვა საჯარო სერვისების მიწოდებაზე. ამას გარდა არსებობს სამი რეგიონალური ხელისუფლება, რომლებიც კოორდინირებას უწევს რეგიოანლური განვითარების ინიციატივებს… ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის მიხედვით ირლანდია 4 რეგიონისგან შედგება: კონოტი, მონსტერი, ოლსტერი, ლენსტერი.

1.3 სახელმწიფო მოწყობა

ირლანდია საპარლამენტო რესპუბლიკაა, რომელიც 1937 წელს მიღებული კონსტიტუციის შედეგია. ქვეყნის მეთაური პრეზიდენტია, რომელსაც 7 წლის ვადით ირჩევენ. რაც შეეხება კანდიდატის წარდგენას, შეუძლია მინიმუმ 4 საგრაფის წარმომადგენელს და საკანმომდებლო ორგანოს 20 წევრს. პრემიერ მინისტრი კი ინიშნება ეროვნული პარლამენტის წარდგენით. პრემიერი აყალიბებს მინისტრთა კაბინეტს. ირლანდიის რესპუბლიკის ძირითად საკანონმდებლო ორგანოს ეროვნული პარლამენტი წარმოადგენს. ეროვნული პარლამენტი შედგება ორი პალატისაგან: ზემო პალატა შედგება 60 წევრისგან,

რომეთა გარკვეული ნაწილი პრემიერის არჩეული, ნაწილს კი ქვემო პალატისგან შერჩეული კომისია.

1.4 სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე

ირლანდიის რესპუბლიკამ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაღალ დონეს მიაღწია ბოლო ათწლეულების განმავლობაში. მნიშვნელოვნად განვითარდა და ტრანსფორმაცია განიცადა ეკონომიკურმა მდგომარეობამ, სწორედ ეს გახდა ერთ-ერთი იმის მიზეზი, რომ ქვეყანა ევროპის მასშტაბით ერთ-ერთი წამყვანია. ირლანდიას საკმაოდ კარგი და ჩამოყალიბებული განათლების სისტემა აქვს, საკმაოდ დიდი დრო და რესურსი ეთმობა განათლების სისტემის ჩამოყალიბებას, სწორედ ამ მიზეზით ქვეყანაში არაერთი საერთაშორისო უნივერსიტეტი მდებარეობს. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეზე საუბრისას, აუცილებლად უნდა ავღნიშნოთ თუ რა პროგრესი განიცადა ირლანდიამ ცხოვრების დონის გაუმჯობესებასა და სიღარიბის შემცირებაში. განხორციელდა უამრავი სოციალური კეთილდღეობის პროგრამა და პოლიტიკა, მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერისა და ყველა მოქალაქისთვის ცხოვრების დონის ხარისხის უზრუნველსაყოფათ. მიუხედავად ამ ყველაფრისა, აუცილებელია აღინიშნოს, რომ მაინც არსებობს გამოწვევები და მცირედი უთანასწორებები. ქალაქებში შესაძლოა არსებობდეს შედარებით უფრო მაღალი ეკონომიკური ვითარება, რასაც ვერ ვიტყვით რეგიონალურ ეკონომიკურ შესაძლებლობებზე.

კლასიფიკაციის მიხედვით, ირლანდია შეგვიძლია მივაკუთვნოთ პოსტინდუსტრიულ საზოგადოებას. მიუხედავად იმისა, რომ ისტორიულად ირლანდიას ჰქონდა აგრარული ეკონომიკა, წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა. მე-20 საუკუნის ბოლო ირლანდია უფრო ინდუსტრიულ სერვისებზე გადავიდა.

მთლიანობაში, ირლანდიამ მიაღწია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაღალ დონეს, რომელსაც ახასიათებს ძლიერი და მრავალფეროვანი ეკონომიკა, განათლებული

მოსახლეობა, სოციალური კეთილდღეობის პროგრამები და თანამედროვე ინფრასტრუქტურა.

ქვეყნის ბუნებრივი რესურსების და პირობების სამეურნეო შეფასება

ირლანდიის რესპუბლიკას გააჩნია მთელი რიგი ბუნებრივი რესურსები და პირობები, რაც ხელს უწყობს მის ეკონომიკურ განვითარებას. მიუხედავად იმისა, რომ ირლანდია არ არის მდიდარი მინერალური რესურსებით, ვერ მოიპივებს ქვანახშირს, ნავთობს ან ბუნებრივ აირს, მას აქვს რამდენიმე ისეთი ბუნებრივი რესურსი, რაც ეხმარება ეკონომიკის განვითარებას. ირლანდიაში ვხვდებით ისეთ სასოფლო-სამეურნეო მიწებს, რომელთაც ნაყოფიერი ნიადაგი აქვთ და რბილი კლიმატით გამოირჩევა. ქვეყანა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რესურსია სახნავი მიწა, რომელიც მსოფლიო ბანკის მონაცემებით დაახლოებით 15%-ს შეადგენს. ასევე მსოფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით ტყის რესურსები ირლანდიის ტერიტორიის 11% შეადგენს. 2004 წელს ირლანდიაში ტყის რესურსების გაფართოება დაიწყო, რაც აიხსნება მთავრობისა და კერძო სექტორების მცდელობით, წაეხალისებინათ ტყის კონსერვაცია. ირლანდიის ტყეეპიდან ცნობილია: კლონბური, ბრაკლონი და გლენდალოფი. ტყეების უმრავლესობა ტორფით სავსე ადგილებში მდებარეობს, ისტორიული ფაქტები მიუთითებს იმაზე, რომ ტყეების მდებარეობა ამ რაიონებში გამოწვეული იყო იმით, რომ ქვეყნის დანარჩენი მიწის ნაკვეთი სოფლის მეურნეობის მიერ იყო გამოყენებული.

ირლანდიას აქვს ისეთი განახლებადი რესურსების მარაგი, როგორიცაა ქარის ენერგია. ქვეყნის ხელსაყრელმა ბუნებრივმა მდებარეობამ ხელი შეუწყო ქარის მეურნეობის განვითარებას, რამაც ქვეყანა ქარის ენერგიის წარმოების ლიდერად აქცია. ქვეყნის ერთ-ერთი პირველი ქარის ელექტროსადგური შეიქმნა 1992 წელს ბელაკორიკში, მაიოს ოლქში.

გარდა ამისა ქვეყანაში მოიპოვება მნიშვნელოვანი რაოდენობის ნავთობისა და ბუნებრივი აირის მარაგი. ირლანდიის მთავრობამ შეაფასა, რომ ქვეყანას ჰქონდა დაახლოებით 300

მილიონი ბარელი ნავთობი მის ერთ-ერთ მთავარ ნავთობის საბადოზე, ბარიროს ნავთობის ჭაბურღილში. ირლანდიას აქვს ბუნებრივი აირის საბადოები, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი არის კორიბის გაზის საბადო, რომელიც მდებარეობს ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. ირლანდიის ბუნებრივი აირის საბადოების განვითარება სავსე იყო წინააღმდეგობებით, რადგან ზოგიერთი პროექტის განვითარება საზიანო გავლენას მოახდენდა ქვეყნის გარემოზე.

ბუნებრივ რესურსებზე საუბრისას, მნიშვნელოვანია ხაზი გავუსვათ, ირლანდიის წყლის რესურსებს. ქვეყანას მტკნარი წყლის უდიდესი მარაგი აქვს, როგორიცაა: ტბები, მდინარეები და წყალსაცავები. ეს რესურსები ხელს უწყობს ჰიდროენერგეტიკის განვითარებას და მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგებას.

ირლანდიას ტორფის დიდი მარაგი გააჩნია, რომელიც როგორც მებაღეობაში, ასევე საწვავისთვისაც გამოიყენება. საუკუნეების განმავლობაში ტორფი იყო ირლანდიის ძირითადი საწვავი რესურსი, რომელიც დღემდე უზრუნველყოფს ქვეყნის ენერგეტიკული მოთხვივნილებების 12%-ს. კონკრეტულად ირლანდიის რესპუბლიკაში, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანია Bord na Móna პასუხისმგებელია ტორფის წარმოების მართვაზე. ამას გარდა არსებობს ისეთი მინერალების საბადოები, როგორიცაა: ტყვია, თუთია, კირქვა და თაბაშირი, რომლებიც ხელს უწყობს საწარმო, სამშენებლო მრეწველობას.

მოსახლეობა

3.1 მოსახლეობის რაოდენობის დინამიკა

ირლანდიის მოსახლეობის დინამიკა მნიშვნელოვან როლს თამაშობს, ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი ლანდშაპტების ჩამოყალიბებაში. ირლანდიის რესპუბლიკამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა მისახლეობის

დინამიკის თვალსაზრისით ბოლო ათწლეულების განმავლობაში. 2021 წლის მონაცემების მიხედვით, ირლანდიის მოსახლეობის რაოდენობა 5 033 165 მილიონს შეადგენს. სტატისტიკაზე დაყრდნობით 1990 წლიდან მოყოლებული, ირლანდიის მოსახლეობა განიცდის აღმასვლას და ზრდას. რაოდენობა დაახლოებით 2 მილიონიდან 5 მილიონამდე გაიზარდა. ამ წლების განმავლობაში, მოსახლეობის რაოდენობის ზრდის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი იყო ეკონომიკური განვითარება, შიდა მიგრაციები. ეკონომიკის ზრდამ გამოიწვია დასაქმებულთა ზრდა ქვეყნის მასშტაბით და მიიზიდა როგორც საერთაშორისო მიგრანტები ასევე, ქვეყნიდან წასული ადგილობრივი მოსახლეობაც დაუბრუნდა ქვეყანას. ეკონომიკურმა კეთილდღეობამ ხელი შეუწყო შობადობის ზრდას ქვეყანაში, რამაც მოსახლეობის ბუნებრივი ზრდა გამოიწვია. აქვე მინდა ხაზი გავუსვა მოსახლეობის საშუალო წლიურ ზრდას 1990 წლიდან დღემდე. 1990 წლიდან მოყოლებული ირლანდიის რესპუბლიკის მოსახლეობის საშუალო წლიური ზრდა განიცდიდა, როგორც აღმავლობას, ასევე დაღმავლობას. 1990 წელს საშუალო წლიური მაჩვენებელი შეადგენდა 0.1 %-ს ხოლო ბოლო, 2021 წლის მონაცემებით- 1%ია. ამ შუალედში ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი ფიქსირდება 2007 წელს (2.9 %), ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი, ბოლო ათწლეულში 2012 წელს იყო- 0.4%. ამის განმაპირობებელი ერთ-ერთი მიზეზი იყო ეკონომიკური გამოწვევები ირლანდიის რესპუბლიკაში, მათ შორის სახელმწიფო ვალის მაღალი დონე. წინამდებარე წლებში ქვეყანაში ეკონომიკურმა დისბალანსმა გამოიწვია უმუშევრობის დონის ზრდა.



ირლანდიის მოსახლეობის ზრდა 1960-2020წწ (Total Population of Ireland, 2022)|

3.2 მოსახლეობის ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობის მაჩვენებლები

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა გულისხმობს შობადობისა და სიკვდილიანობის მაჩვენებლებს. როგორც მსოფლიოს მასშტაბით, ასევე ირლანდიის რესპუბლიკაშიც, მოსახლეობის ბუნებრივ მოძრაობაზე მნიშვნელოვან გავლენს ახდენს ისეთი ინდიკატორები, როგორიცაა ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა, ბუნებრივი პირობები, ფსიქოლოგიური ასპექტები, რელიგიური და პოლიტიკური ვითარებაც…

მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან მოსახლეობის ზრდა ირლანდიის რესპუბლიკაში პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ბუნებრივი მოძრაობის მაღალ მაჩვენებელთან არის დაკავშირებული. ბოლო წლების მონაცემების მიხედვითაც, შობადობის მაჩვენებელი აღემატება სიკვდილიანობის მაჩვენებელს, მაგალითად 2023 წელს შობადობის კოეფიციენტი არის 12.08‰, ხოლო სიკვდილიანობის- 6.74‰ . ამ მონაცემებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ირლანდია იმყოფება დემოგრაფიული გადასვლის მეორე ფაზაში. დემოგრაფიული გადასვლის მეორე ფაზის ძირითადი ნიშან-თვისებაც ეს არის: შობადობის

მაჩვენებელი მეტია,მოსახლეობის რიცხვი იმატებს, ხოლო სიკვდილიანობის მაჩვენებელი შედარებით ეცემა (CIA, 2023).

3.3 საგარეო მიგრაციის სალდო

დღესდღეობით მიგრაციის სალდო ირლანდიაში დადებითია. მიგრაციის მაჩვენებელი 2‰ ანუ ყოველი 1000 ადამიანიდან 2 არის ემიგრანტი. აქედან გამომდინარე, ირლანდია დღეს იმიგრაციის ქვეყანაა. 1990 წლიდან 2013 წლამდე მიგრაციის სალდო არასტაბილური იყო, მაგალითად 1990 წელს ეს მაჩვენებელი -2‰, რაც იმას ნიშნავს, რომ სალდო უარყოფითია. ამ წლების შუალედში ფიქსირდება მიგრაციის სალდოს დადებითი მაჩვენებლებიც, მაგალითად 1997 წელს, სალდო 5‰ იყო. ასევე, ავღნიშნავ აქვე, რომ 1990 წლიდან, მიგრაციის სალდო 0‰ მხოლოდ 2014 წელს ფიქსირდება. 2014 წლის შემდეგ სტაბილურად ინარჩუნებს დადებით მაჩვენებელს. ბოლო წლების განმავლობაში, ირლანდიამ განიცადა იმიგრაციის გაზრდილი დონე, განსაკუთრებით აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან და მსოფლიოს სხვა ნაწილებიდან. უცხოური მიგრაციის ბალანსმა, რომელიც მოიცავს როგორც იმიგრაციას, ასევე ემიგრაციას, ხელი შეუწყო მოსახლეობის მთლიან ზრდას და დემოგრაფიულ მრავალფეროვნებას (UN, 2023).



(Population and Migration - Irland, 2023)

3.4 მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის მოკლე დახასიათება

ირლანდიის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის ანალიზი ავლენს მნიშვნელოვან დემოგრაფიულ მახასიათებლებსა და ტენდენციებს. ის ეხმარება განსაზღვროს დამოკიდებულების თანაფარდობა, სამუშაო ძალის განაწილება და პოტენციური გავლენა სოციალურ კეთილდღეობაზე, ჯანდაცვისა და საპენსიო სისტემებზე. გარდა ამისა, სქესობრივი ასაკის სტრუქტურის შესწავლა ხელს უწყობს საზოგადოებაში სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ცვალებად საჭიროებებსა და მოთხოვნებს.ირლანდაში მოსახლეობის სქესობრივი თანაფარდობა ასე გამოიყურება: ყოველ 100 ქალზე 105.5 უტოლდება მამაკაცთა რაოდენობა. ეს მაჩვენებელი მცირედით ჩამორჩება მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელს, რომლის მიხედვით ყოველ 100 ქალზე მამაკაცთან რაოდენობა 107-ს უტოლდება. რაც შეეხება ირლანდიის რესპუბლიკის მოსაზღვრე სახელმწიფოში, დიდ ბრიტანეთში თანაფარდობა ანალოგიურია. მონაცემების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქვეყანაში მამაკაცების რაოდენობა 45105 ათასით აჭარბებს ქალების რაოდენობას. თუმცა, აღნიშნული სხვაობა შესამჩნევი არ არის.

3.5 მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა

ირლანდიის რესპუბლიკაში მოსახლეობა შემდეგნაირად ნაწილდება: 20.39%ს სამუშაომდელი ასაკობრივი ჯგუფები მიეკუთვნება (0-14წელი), 65.04% იკავებს შრომისუნარიანი მოსახლეობა (15-64), ხოლო 14.57%-ს - ხანდაზმული ასაკობრივი ჯგუფები (65 წლის და მეტი)



მონაცემებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ავღნიშნოთ, რომ ამ შემთხვევაში ირლანდია ტიპურ ევროპულ ქვეყნის ანალოგი არ არის, რადგან ახალგაზრდათა პროცენტული რაოდენობა 5.82% -ით აღემატება საპენსიო ასაკის მოსახლეობას.თუმცა ევროპის უმეტესი ქვეყნებისთვის

დამახასიათებელია, ხანდაზმული ასაკობრივი ჯგუფების მეტი რაოდენობა, ვიდრე ახალგზარდების. მაგალითად, ისევ დიდ ბრიტანეთს რო შევადაროთ, მცირედით, თუმცა პენსიონერთა რაოდენობა მეტია ახალგაზრდების რაოდენობაზე.

ირლანდია მიეკუთვნება ევროპის იმ ქვეყანათა რიცხვს, სადაც შობადობა მზარდია, ხოლო სიკვდილიანობა კლებადი. შესაბამისად ბუნებრივი ნამატი მაღალია. ამავე ჯგუფს მიეკუთვნება მაგალითად:ბოსნია და ჰერცოგოვინა, ჩრდილოეთ მაკედონია, სერბია, კოსოვო… ირლანდიის სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდის ფუძე უფრო განიერია, შემდგომ ასაკობრივ ჯგუფებში შედარებით ვიწროვდება, 40-44 წლის შუალედში, ყველაზე დიდია მაჩვენებელი, შემდეგ კი ასაკობრივ ჯგუფებში ნელ-ნელა მცირდება, რაც შობადობის მაღალი დონით შესაძლოა აიხსნას. სქესთა შორის ბალანს რაც შეეხება, სამივე ასაკობრივ ჯგუფში, ქალთა და მამაკაცთა რაოდენობა თანაბარია და დიდი სხვაობა მათ შორის არ შეიმჩნევა.

3.6 დასაქმების სტრუქტურა

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობა ირლანდიის რესპუბლიკაში 2022 წლის მონაცემების მიხედვით 2 670 822 მილიონს შეადგენს. აქედან 76.7% მომსახურების სხვადასხვა სფეროში არიან დასაქმებულნი, 18.8% ინდუსტრიულ სექტორში, ხოლო 4.49% - სოფლის მეურნეობაში (O'Neill, 2023).



დასაქმების სტრუქტურა (%) 2011-2021

ამ მონაცემებზე დაყრდნობით, ირლანდია პოსტინდუსტრიულ ქვეყნების ჯგუფს მიეკუთვნება, ეს განპირობებულია იმით, რომ მომსახურების სფეროში დასაქმებულთა რაოდენობა ძალიან მაღალია.

უმუშევართა დონეს რაც შეეხება, მათი რაოდენობა 2021 წლის მონაცემების მიხედვით 6.2 შეადგენდა.1983 წლიდან 2021 წლამდე უმუშევართა ყველაზედაბალი პროცენტული მაჩვენებელი ფიქსირდება 2001 წელს, 3.7%, ხოლო ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო 1987 წელს, 18.1%. უმუშევრობის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი ეკონომიკური დონის სწრაფი ზრდა, თავისუფალი ადგილების გაჩენაა, რომელმაც გაზარდა შემდგომ უმუშევართა დონე, დემოგრაფიული ცვლილებები, ასევე დიდ გავლენას ახდენს უმუშეევართა დონის ცვლილებაზე. აქვე გავუსობ ხაზს და ავღნიშნავ, რომ მსოფლიო პანდემიის პერიოდში, მცირედი მაჩვენებლით, 2019 წლიდან 2021 წლამდე 6,2% გაიზარდა.

3.7 მოსახლეობის ეთნო-ლინგვისტური და რელიგიური შემადგენლობა



(Britannica, 2021)

ირლანდიის ეთნიკური და რასობრივი უმცირესობები ირლანდიის მოსახლეობის 12%ს შეადგენს. ირლანდიის ეთნიკური შემადგენლობა შემდეგნაირად გამოიყურება:ირლანდიელები- 82.2% , აზიელები 2.1%. გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ მოსახლეობის უმეტეს ნაწილს ირლანდიელები შეადგენენ. არსებობს მოსაზრება, რომ ირლანდიაში პირველად დასახლდნენ გაელი ხალხი, რომელიც სულ მცირე 9000 წლის წინ

ჩამოვიდნენ.გაელები უფრო ფართო ეთნოლინგვისტრუი ჯგუფების განშტოებას წარმოადგენს, რომელიც კოლტების სახელწოდებით არის ცნობილი.ეთნო-ლინგვისტური და რელიგიური შემადგენლობის გაგება ხელს უწყობს ქვეყანაში კულტურული მრავალფეროვნებისა და სოციალური დინამიკის დაფასებას.

ინგლისური ირლანდიაში ოფიციალური ენაა, რომელზეც მოსახლეობის უდიდესი ნაწილი საუბრობს. ამას გარდა გამოიყენება ირლანდიური ენაც, რომელსაც უწოდებენ ერსეს (კელტური ენის ოჯახს მიეკუთვნება). როგორც ირლანდიის ერთ-ერთი ეროვნული ენა, ირლანდიური ისწავლება სკოლებშიც. აღნიშნულ ენაზე ლაპარაკობს მოსახლეობის 39.8%, ირლანდიის დასავლეთ სანაპიროზე დასახლებულნი (Britannica, 2022).

ირლანდიის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი რომაიელი კათოლიკების რიცხვს მიეკუთვნება, მართმადიდებლები 1.3% შეადგენს, ასევე მუსლიმებიც 1.3 % . ანგლიკანები 2.7 კელტურმა რელიგიამ დიდი კვალი დატოვა ირლანდიაში მე-5 საუკუნეში, ქრისტიანობის მიღებამდე. მართალია კელტური რელიგიის რიტუალები, რწმენა გარკვეულწილად ბუნდოვანია, მაგრამ დღემდე შემორჩენილია, ასობით ღმერთის სახელი და რელიგიის სხვადასხვა ელემენტები, მათ შორის ირლანდიის ერთ-ერთი მფარველი წმინდანის ბრიგიდის კულტი (Britannica, 2022).

3.8 ურბანიზაცია და დიდი ქალაქები

ურბანიზაცია, ქალაქების გამსხვილება მნიშვნელოვანი ირლანდიის რესპუბლიკისთვის ბოლო ათწლეულების განმავლობაში. მოსახლეობის უდიდედი ნაწილი გადავიდა სოფლიდან ქალაქში, რაც სხვადასხვა ფაქტორების გავლენით აიხსნება, როგორიცაა ეკონომიკის ზრდა და განვითარება, მოსახლეობის ზრდა, ცხოვრების სტილის ცვლილება. ირლანდიის დიდმა ქალაქებმა, როგორიცაა დუბლინი, კორკი და გალოვეი, განიცადეს სწრაფი ურბანული ზრდა და გახდა მოსახლეობის, ვაჭრობის და კულტურული საქმიანობის მნიშვნელოვანი ცენტრები. დუბლინი, ირლანდიის დედაქალაქი, იზიდავს ბიზნესს, ახალგზარდებს, პროფესიონალებს სთავაზობს დასაქმების შესაძლებლობას.

დუბლინმა სერიუზული ტრანსპორმაცია განიცადა და გახდა მიმზიდველი, როგორც შიდა ასევე საერთაშორისო ემიგრანტებისთვის.

ირლანდიის მოსახლეობის სიმჭიდროვე უდრის 72 ადამიანს კვ.კმ-ზე (4 985 382 ადამიანი/ 68 890). ირლანდიაში ყველაზე მჭიდროს არის დასახლებული დუბლინის აგლომერაცია. სადაც 1 კვ.კმ.ზე დაახლოებით 100 ადამიანს უდრის სიმჭიდროვე. ირლანდიის დასავლეთით და ცენტრალურ სანაპიროზე შედარებით მეჩხერად არის მოსახლეობა დასახლებული. ირლანდიის მსგავსი მაჩვენებლებით ხასიათდება სინგაპური, ჰონგ კონგისადაც მოსახლეობის სიმჭიდროვე უდრის 71 ადამიანს (Ireland, 2023).

ირლანდიის ურბანული წერტილები იძლევა მრავალფარევოან ეკონომიკურ შესაძლებლობას.რაც ხელს უწყობს კვალიფიციური მუშაკების დასაქმებას ისეთ ინდუსტრიებში, როგორიცაა ფარმაცევტია, ტექნოლოგიები.

მიუხედავად ურბანიზაციის დადებითი შედეგებისა, ეკონომიკური გაუმჯობესებისა, მასაც გააჩნია უარყოფითი ნიშან-თვისებები. ერთია, რომ ურბანიზაციამ დიდი ქალაქების გამსხვილება გამოიწვია, თუმცა მან მეორეს მხრივ ხელი შუშალა რეგიონალურ უთანასწორობას. დაიწყო მოსახლეობის კლება სოფლებში, ამის შესაბამისად შემცირდა შესაძლებლობებსა და სერვისებზე წვდომა. ირლანდიისთვის მუდმივ გამოწვევად რჩება ურბანული ცენტრების განვითარების დაბალანსება სასოცლო ცხოვრებასთან, ისე რომ ერთმა მეორეს ხელი არ შეუშალოს.

ირლანდიის მნიშვნელოვანი ქალაქების რიცხვის, რა თქმა უნდა, პირველ რიგში დუბლინი მიეკუთვნება, რომლის მოსახლეობის რაოდენობა 506 211 ათასია, ასევე მნიშვნელოვან ქალაქებს მიეკუთვნება:ბალინასლო, გოლუეი, ლოხრეი.

ირლანდიის მოსახლეობამ განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები და დინამიკა წლების განმავლობაში. მოსახლეობის ტენდენციების, მოსახლეობის ბუნებრივი გადაადგილების, მიგრაციის, სქესობრივი ასაკობრივი სტრუქტურის, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის, დასაქმების სტრუქტურის, ეთნო-ლინგვისტური და რელიგიური

შემადგენლობისა და ურბანიზაციის ანალიზი იძლევა დემოგრაფიულ ლანდშაფტს და მის სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებს. ამ ფაქტორების გააზრება გადამწყვეტია ეფექტური პოლიტიკის დაგეგმვისთვის, დემოგრაფიული გამოწვევების გადაჭრისთვის და ირლანდიაში მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად.

4. მეურნეობის ზოგადი მიმოხილვა

4.1 შესავალი

ირლანდიის მეურნეობამ ბოლო წლების განმავლობაში ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში ძალიან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. ამ თავის მიზანია, რომ წარმოაჩინოს ძირითადი ტრენდები ირლანდიის მეურნეობაში, განსაკუთრებით მე20 საუკუნის მეორე ნახევრიდან. გარდა ამისა, განხილული იქნება მშპ-ს ფორმირების ეტაპები და სტრუქტურა და ისეთი საკითხები, როგორებიცაა: მშპ მიმდინარე და მუდმივი ფასების პირობებში, მშპ ერთ სულ მოსახლეზე და საქმიანობის სახეების მიხედვით.

მშპ და გაყიდული პროდუქტების/სერვისების სრული რაოდენობა პირდაპირ აისახება ქვეყნის ძირითად ეკონომიკურ მაჩვენებლებზე. მსოფლიო მშპ 2021 წელს ერთ სულ მოსახლეზე დაახლოებით 12,183 აშშ დოლარი იყო. მეორე მხრივ, ირლანდიაში მშპ-მ იმავე პერიოდში ერთ სულ მოსახლეზე 100172 აშშ დოლარს მიაღწია, რაც მთელი ქვეყნისთვის 504,18 მილიარდ აშშ დოლარს ნიშნავს. ამრიგად, ირლანდიის ეკონომიკა ამჟამად 25-ე ადგილზეა მსოფლიოს უმსხვილეს ეკონომიკებს შორის. მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის გათვალისწინებით, ეს ირლანდიას მსოფლიოს უმდიდრესი ქვეყნების სიაში მე-3 ადგილზე აყენებს (World Data, 2022).

4.2 ირლანდიის მეურნეობის განვითარების ძირითადი ტრენდები

ირლანდიის მურნეობამ მე20 საუკუნის მეორე ნახევრიდან საგრძნობლად დიდი ტრანსფორმაცია განიცადა. ისტორიულად, მეურნეობა ყოველთვის წამყვან როლს თამაშობდა ირლანდიის ეკონომიკის განვითარებაში, მაგრამ ადრეულ პოსტ-დამოუკიდებლობის პერიოდში ის მრავალი გამოწვევის წინაშე დადგა, ბაზარზე შეზღუდული წვდომისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების დრომოჭმული პრაქტიკების გამო. თუმცა, ბოლო ათწლეულების განმავლობაში ირლანდიის სამეურნეო სექტორმა განიცადა ძალიან მნიშვნელვანი ზრდა და მოდერნიზდა.
2010-2020 წლებში ირლანდიის მშპ გაიზარდა 87,4%-ით, 188,8 მილიარდი ევროდან (2010 წელი) 353,8 მილიარდ ევრომდე (2020). ეს წარმოადგენს 5,9%-იან ზრდას 2019 წლის მაჩვენებელთან შედარებით (334,2 მილიარდი ევრო) (European Commision, 2023).

ტრენდები, რომლებმაც ეს ტრანსფორმაცია განაპირობა, შეგვიძლია რამდენიმე კუთხით გავაანალიზოთ:

1. ტექნოლოგიური მიღწევები: ტექნოლოგიურმა განვითარებამ უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა ირლანდიის მეურნეობის განვითარებაში. სოფლის მეურნეობის მოწინავე ტექნიკების გატარებამ, გაუმჯობესებულმა ტექნიკამ, და ინოვაციურმა მიდგომებმა/პრაქტიკებმა პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის ზრდა განაპირობა. უახლესმა სამეურნეო ტექნოლოგიებმა, როგორიცაა, მაგალითად, ჯიპიესის მიერ მართვადი ტექნიკა, ფერმერებს რესურსების ოპტიმალურად გადანაწილების, მოსავლიანობის ზრდისა და გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის შემცირების შესაძლებლობა მისცა. მეურნეობის განვითარებაში არანაკლებ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ასევე გენური ინჟინერიის მიღწევებმა მცენარეებისა და ცხოველების ჯიშების გამოყვანაში.

2. დივერსიფიკაცია და სპეციალიზება: ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება ირლანდიის სამეურნეო სექტორში ეხება დივერსიფიკაციასა და სპეციალიზებას. ფერმერებმა წარმატებით გამოიყენეს ახალი შესაძლებლობები და მოერგნენ ბაზრის მოთხოვნებს, რამაც გააჩინა უფრო მრავალფეროვანი სასოფლო-სამეურნეო ლანდშაფტი. გაჩნდა და გაფართოვდა ისეთი სექტორები, როგორებიცაა მაგალითად რძის ნაწარმის, საქონლის ხორცის, ცხვრისა და მებაღეობის სექტორები; მნიშვნელოვანია, რომ ყველა სექტორის განვითარებას ხელს უწყობს ირლანდიის უნიკალური ბუნებრივი რესურსები და კლიმატური პირობები. თავის მხრივ, ამ პროცესებს ასევე ხელს უწყობს სპეციალურად შემუშავებული მიზნობრივი პოლიტიკა, ტექნოლიგიური მიღწევები და ევროკავშირის სუბსიდიები მეურნეობის საერთო პოლიტიკის (Common Agricultural Policy (CAP)) პირობებში.

3. ორიენტაცია ექსპორტზე: ირლანდიის სასოფლო-სამეურნეო სექტორი ექსპორტზე ორიენტირებული გახდა. საერთაშორისო ვაჭრობის გაფართოებამ და ევროკავშირის ფაქტორმა ირლანდიას საერთაშორისო ბაზრისკენ გაუხსნა გზა, რამაც ექსპორტის მოცულობისა და შემოსავლის ზრდა განაპირობა. ირლანდიურმა პროდუქციამ, რომელიც ცნობილია თავისი ხარისხისა და უსაფრთხოების სტანდარტებით, დიდი პოპულარობა მოიპოვა საერთაშორისო მასშტაბით. ძირითადი საექსპორტო პროდუქტებია: რძის ნაწარმი, საქონლის ხორცი, ზღვის პროდუქტები და მებაღეობის პროდუქტები.

4. მდგრადობა და გარემოსდაცვითი საკითხების ყურად ღება:

ცნო რა მეურნეობის მდგრადობის განსაკუთრებული მნიშვნელობა, ირლანდიამ ძალიან დიდი ძალისხმევა გაიღო სექტორში ეკოლოგიურად სუფთა და გარემოსდაცვით საკითხებთან შესაბამისი პრაქტიკების დასანერგად. ისეთი მეთოდების მიღებამ, როგორიცაა, მაგალითად, ორგანული მეურნეობა, ძალიან დიდი ყურადღება მიიპყრო სხვა

ქვეყნების მხრიდანაც. ბუნებრივი რესურსების დასაცავად, ბიომრავალფეროვნების ხელშესაწყობად და ჰაერის დაბინძურების შესამცირებლად გატარდა გარემოსდაცვითი რეგულაციებიც. ისეთი ინიციატივები კი, როგორიცაა Origin Green პროგრამა, მიზნად ისახავს, გახადოს ირლანდიური საკვები და სასმელი პროდუქტების მდგრადი გარემოსდაცვითი სტანდარტების შესაბამისი.

4.3 მშპ-ს ფორმიმრება და სტრუქტურა

იმისათვის, რომ განვსაზღვროთ მეურნეობის წვლილი ირლანდიის მშპს ფორმირებაში, აუცილებელია, რომ გამოვიკვლიოთ მშპ-ს ფორმირებასა და სტრუქტურასთან დავაკშირებული სხვადასხვა ინდიკატორი. ამ ინდიკატორებს შორისაა სწორედ მშპ მიმდინარე და მუდმივ ფასებში, მშპ ერთ მოსახლეზე და მშპ აქტივობების სახეების მიხედვით.

1. მშპ მიმდინარე და მუდმივ ფასებში: მშპ მიმდინარე ფასებში ასახავს მოცემული წლის განმავლობაში ირლაინდიაში წარმოებული პროდუქტისა და მომსახურებების სრული რაოდენობის ღირებულებას, ინფლაციის მიხედვით დაკორექტირების გარეშე. მეორე მხრივ, მშპ მუდმივ ფასებში დაკორექტირებულია ინფლაციის გათვალისწინებით, რაც იძლევა საშუალებას უფრო ზუსტად და სწორად დავინახოთ ეკონომიკის ზრდა დროთა განმავლობაში.

2. მშპ ერთ სულ მოსახლეზე: ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ინდიკატორი, რომელიც წარმოდგენას გვიქმნის ირლანდიელების საშუალო შემოსავალსა და ეკონიმიკურ კეთილდღეობაზე. ვინაიდან მშპ ერთ სულ მოსახლეზე გამოითვლება სრული მშპ-ს გაყოფით მთელი მოსახლეობის რაოდენობაზე, ეს საშუალებას იძლევა რომ მუდმივად იყოს გათვალისწინებული მოსახლეობის რაოდენობის ცვლილება და მარტივი იყოს სხვა

ქვეყნების მაგალითთან შედარება. ეს ინდიკატორი საშუალებას იძლევა, რომ გავზომოთ, რა ეკონომიკური გავლენა აქვს მეურნეობას მოსახლეობის საერთო კეთილდღეობაზე. მშპ ერთ სულ მოსახლეზე, 2022 წლის მონაცემებით 529.23 -ს შეადგენს.



ირლანდია - მშპ მიმდინარე მლრდ აშშ $



ირლანდია-მშპ მუდმივი მლრდ აშშ$

3. მშპ საქმიანობის სახეების მიხედვით: მშპ-ს დაყოფა საქმიანობის ტიპების მიხედვით საშუალებას გვაძლევს გავიგოთ თუ რამხელაა სხვადასხვა სექტორის წვლილი მთლიან ეკონომიკაში. ეს სექტორებია: სოფლის მეურნეობა, მრეწველობა და მომსახურებების

სექტორი. ამგვარი ანალიზი ხელს უწყობს მეურნეობის მნიშვნელობის განსაზღვრას უფრო ფართე ეკონომიკურ ლანდშაფტზე.

4. 2000 წლიდან მოყოლებული, ირლანდიის მშპ განიცდიდა მნიშვნელოვან რყევებს სხვადასხვა ფაქტორის გამო, მათ შორის 2008 წლის ფინანსური კრიზისი და კოვიდ-19 პანდემია. მეურნეობის სექტორი ამ ფაქტორების წინაშე საკმაოდ "გამძლე" აღმოჩნდა, თუმცა მაინც დადგა ისეთი გამოწვევების წინაშე, როგორებიცაა სასაქონლო ფასების ცვალებადობა, ბაზრის პირობების ცვალებადობა, და ცვლილებები მომხმარებლების პრეფერენციებში (Statista, 2022).

ზემოთ ნახსენებ ინდიკატორებთან ერთად, ირლანდიის კონკრეტულ რეგიონებში დამატებითი ხარჯების გამოთვლისას გასათვალისწინებელია ტერიტორიული ერთეულების ფაქტორიც. ტერიტორიული ნიშნით ანალიზი თვალსაჩინოს ხდის უთანასწორობას რეგიონებში რესურსების გადანაწილებასა და მეურნოების გავლენაში ადგილობრივ ეკონომიკებზე. ასევე ამგვარი ანალიზი ხელს უწყობს სხვადასხვა რეგიონის სიძლიერეებისა და სისუსტეების იდენტიფიცირებას, რაც მნიშვნელოვანია დაბალანსებული რეგიონალური განვითარების ხელშეწყობისკენ მიმართული პოლიტიკის გასაუმჯობესებლად.

მეურნეობის სექტორული ანალიზი

როგორც უკვე ვახსენე, სოფლის მეურნეობა ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მამოძრავებელი პირველადი სექტორია. სოფლის მეურნეობიდან მნიშვნელოვანია მეცხოველეობა. მნიშვნელოვანი ფაქტორიას ისიც, რომ ქვეყანას აქვს საკმარისი რესურსი ამ მხრივ და რძის პროდუქციის დიდი ნაწილი, დაახლოებით 80-90% ექსპორტზე გადის (World Data, 2021).

ირლანდიის სოფლის მეურნეობის სექტორი მრავალი გამოწვევის წინაშე დგას, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი არის გლობალური სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფასების ცვალებადობა და გლობალური დათბობა. მიუხედავად გამოწვევებისა, რომელსაც აწყდება ირლანდიის სოფლის მეურნეობის ინდუსტრია, მას აქვს უზარმაზარი ზრდის პოტენციალი (Mccormack, Buckley, & Kelly, 2022).

5.1. პირველადი სექტორი

ირლანდიის მეურნეობის პირველადი სექტორები მოიცავს ისეთ ინდუსტრიებს, როგორებიცაა სოფლის მეურნეობა, სამთო-მოპოვებითი ინდუსტრია, მრეწველობა, მეთევზეობა, სატყეო მეურნეობა და ა.შ. ეს სექტორები გადამწყვეტ როლს თამაშობენ ქვეყნის ეკონომიკაში და ხელს უწყობენ როგორც შიდა მოხმარებას, ასევე ექსპორტს.

1. სოფლის მეურნეობა: სოფლის მეურნეობას ირლანდიის მეურნეობაში, როგორც უკვე ვახსენე, ძალიან დიდი როლი აქვს და ეს სექტორი ძირითადად ფოკუსირებულია მეცხოველეობასა და მოსავლის წარმოებაზე. ქვეყანა ცნობილია მაღალი ხარისხის რძის ნაწარმითა და საქონლის ხორცით. გარდა ამისა, მეცხვარეობა, მეღორეობა და მეფრინველეობა ასევე მნიშვნელოვანი ქვესექტორებია. ირლანდიის სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკამ დიდი ცვლილება განიცადა მდგრადი და ეკოლოგიურად "სუფთა" პრაქტიკიკების გატარებით, რომლებიც ფოკუსირებულია ორგანულ მეურნეობაზე, ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და ქიმიური საშუალებების გამოყენების შემცირებაზე.

2. სამთო-მოპოვება: მიუხედავად იმისა, რომ სამთო მოპოვება არ არის ისეთი ცნობილი. როგორც სოფლის მეურნეობა, ეს ინდუსტრიაც მნიშვნელოვან ადგილს იკავებს პირველად სექტორში. სამთო მრეწველობა ძირითადად მოიცავს თუთიის, ტყვიის, თაბაშირის და კირქვის მოპოვებას. ეს მინერალები გამოიყენება სხვადასხვა ინდუსტრიაში, მათ შორის მშენებლობაში, წარმოებასა და სოფლის მეურნეობაში.

3. თევზჭერა: თევზჭერა ირლანდიის მეურნეობის პირველადი სექტორის ნაწილია მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელიც ეკონომიკის გაძლიერებასთან ერთად, სამუშაო ადგილების თვალსაზრისითაც ძალიან დიდ როლს ასრულებს. თევზჭერიდან დაახლოებით 700 მილიონი ევრო შემოდის წლის განმავლობაში ბიუჯეტში და ამასთან ერთად ეს სექტორი 11000 სამუშაო ადგილს უზრუნველყოფს, ძირითადად ირლანდიის ნაპირებთან მცხოვრები ადამიანებისთის. ირლანდიაში თევზჭერის ინდუსტრიის ძირითადი სფეროებია: კომერციული თევზაობა, გადამუშავება, თევზის მეურნეობა. Bord Iascaigh Mhara (BIM) ირლანდიის საზღვაო თევზჭერის და აკვაკულტურის ეროვნულია ორგანოა, რომელიც მიზნად ისახავს, ქვეყანაში თევზჭერის სექტორის შენარჩუნებას და განვითარებას. BIM ორგანოს პასუხისმგებლობაში გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარება შედის. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თევზჭერის ინდუსტრია მნიშვნელოვნად დააზარალა ბრექსიტის პროცესმა (Carter, 2023).

4. სატყეო მეურნეობა: სატყეო მეურნეობა მნიშვნელოვანი სექტორია ირლანდიის ბუნებრივი რესურსების მართვისა და გარემოს მდგრადობის შენარჩუნებისთვის. ირლანდიამ დიდი ძალისხმევა გაიღო ტყიდ გაფართოების პროგრამების საშუალებით, რომ სატყეო ტერიტორია მაქსიმალურად გაეფართოვებინა. კომერციული სატყეო მეურნეობა გულისხმობს ხე-ტყის დამუშავებას სამშენებლო, ავეჯისა და ქაღალდის წარმოებისთვის. გარდა ამისა, სექტორი უზრუნველყოფს ეკოლოგიურ სარგებელსაც, როგორიცაა ნახშირბადის ზემოქმედების შემცირება და ველური ბუნების ჰაბიტატის შენარჩუნება.

სექტორის ძირითადი მოთამაშეებიდან რამდენიმე:

- Glanbia: კვების საერთაშორისო კომპანია, რომელიც სპეციალიზებულია რძის და საკვების ინგრედიენტებზე

- Kerry Group: საკვები ინგრედიენტებისა და არომატების მიმწოდებელი წამყვანი კომპანია, რომელიც მომხმარებელს პროდუქტებისა და სერვისების მრავალფეროვან ასორტიმენტს სთავაზობს
- Lakeland Dairies: ირლანდიური რძის კოოპერატივი, რომელიც ცნობილია რძის პროდუქტების ფართო სპექტრის წარმოებითა და ექსპორტით.

5.2. მეორადი სექტორები

ირლანდიის მეურნეობის მეორადი სექტორი მოიცავს ისეთ ინდუსტრიებს, რომლებიც დაკავშირებულია წარმოებასთან, მშენებლობასთან და ინფრასტრუქტურის განვითარებასთან.

1. მრეწველობა: ირლანდიის სამრეწველო სექტორი შედგება წარმოების სხვადასხვა საქმიანობისგან, მათ შორისაა საკვების გადამუშავება, ფარმაცევტული პროდუქტების, მანქანების, ელექტრონიკისა და ტექსტილის წარმოება. ქვეყანამ მოიზიდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, რამაც გამოიწვია მულტიკულტურული საწარმოო ქარხნების დაარსება. წარმოების სექტორი, მსგავსად პირველადი სექტორის ინდუსტრიებისა, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ექსპორტს და დასაქმების შესაძლებლობების გაჩენას (Teagasc, 2023).

2. მშენებლობა: სამშენებლო სექტორი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ირლანდიის ინფრასტრუქტურის განვითარებასა და უძრავი ქონების ინდუსტრიაში. იგი მოიცავს საცხოვრებელი, კომერციული და საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის, მათ შორის შენობების, გზების, ხიდების მშენებლობას. სექტორმა მნიშვნელოვანი ზრდა განიცადა 2000-იანი წლების დასაწყისში, მაგრამ შემდგომში გავლენა მოახდინა გლობალურმა ეკონომიკურმა დაღმასვლამ და ირლანდიის ბაზრის კრახმა. თუმცა, შემდგომ წლებში მდგომარეობა გამოსწორდა (Deloitte, n.d.)

3. ტრანსპორტი და ლოგისტიკა: ირლანდიაში სატრანსპორტო და ლოგისტიკის სექტორი აუცილებელია საქონლისა და ხალხის გადაადგილების გასაადვილებლად. იგი მოიცავს საგზაო ტრანსპორტირებას, რკინიგზას, პორტებს, აეროპორტებს და ლოჯისტიკურ მომსახურებას. ირლანდიის სტრატეგიულმა მდებარეობამ ის საერთაშორისო ვაჭრობის კერად და ევროპის კარიბჭედ აქცია. სექტორი მხარს უჭერს შიდა სადისტრიბუციო ქსელებს და საერთაშორისო სავაჭრო ნაკადებს.

სექტორის ძირითადი მოთამაშეებიდან რამდენიმე:

- Intel Ireland: მულტინაციონალური ტექ კომპანიის ირლანდიის ფილიალი, რომელიც ცნობილია ნახევარგამტარების წარმოებით
- Pfizer Ireland: მსხვილი და უმთავრესი ფარმაცევტული კომპანია, რომელიც დაკავებულია მედიკამენტების კვლევით, განვითარებითა და წარმოებით

5.3 მესამეული/მეოთხეული სექტორი

მესამეული/მეოთხეული სექტორი აერთიანებს სერვისებისა და ცოდნაზე დაფუძნებულ ინდუსტრიების ფართო სპექტრს, რაც ხელს უწყობს ირლანდიის სერვისზე ორიენტირებული ეკონომიკის ზრდას.

1. საბანკო და ფინანსური მომსახურება: ირლანდიას აქვს კარგად განვითარებული საბანკო და ფინანსური მომსახურების სექტორი, მათ შორის კომერციული ბანკები, საინვესტიციო ბანკები და სადაზღვევო კომპანიები. დუბლინი, ქვეყნის დედაქალაქი, ითვლება მნიშვნელოვან ფინანსურ ცენტრად, რომელიც საერთაშორისო დონის საფინანსო ინსტიტუტებს იზიდავს და ხელს უწყობს ფინტექ ინდუსტრიის განვითარებას.

2. საცალო ვაჭრობა და ტურიზმი: საცალო ვაჭრობის სექტორი მოიცავს სხვადასხვა ბიზნესს, რომლებიც მონაწილეობენ მომხმარებლებისთვის საქონლის მიყიდვაში.

ირლანდიას აქვს აქტიური საცალო ინდუსტრია, დაწყებული მცირე ადგილობრივი ბიზნესიდან, დამთავრებული დიდი სავაჭრო ცენტრებით. ირლანდიის ეკონომიკის ერთ-ერთი აუცილებელი და მთავარი კომპონენტია ტურიზმი. სტუმრებს იზიდავთ ქვეყნის ბუნებრივი პეიზაჟები, ისტორიული ადგილები, კულტურული მემკვიდრეობა და ცოცხალი ქალაქები.

3. მედია და გართობა: მედია ინდუსტრია მოიცავს მაუწყებლობის, ბეჭდური მედიის, ციფრული მედიის და გართობის სექტორებს. ირლანდიას აქვს კარგად ჩამოყალიბებული მედია ლანდშაფტი, ტელევიზიითა და რადიოსადგურებით, გაზეთებით, ჟურნალებითა და ონლაინ პლატფორმებით. გასართობი ინდუსტრია მოიცავს კინოს წარმოებას, მუსიკას, თეატრს და კულტურულ ღონისძიებებს.

4. ჯანდაცვა და სოციალური მომსახურება: ირლანდიაში ჯანდაცვის სექტორი უზრუნველყოფს სამედიცინო მომსახურებას, საავადმყოფოებს, კლინიკებსა და მოხუცთა სახლებს. სოციალური სერვისები მოიცავს კეთილდღეობის პროგრამებს, სოციალურ მხარდაჭერას და საზოგადოების განვითარების ინიციატივებს. მთავრობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების მიწოდებასა და რეგულირებაში.

5. განათლება და კვლევა: ირლანდიას აქვს ძლიერი განათლების სისტემა - დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი საფეხურები. ქვეყანა ცნობილია თავისი უნივერსიტეტებითა და კვლევითი ინსტიტუტებით, რომლებიც ხელს უწყობენ სამეცნიერო კვლევებსა და ინოვაციებს. განათლების სექტორი იზიდავს როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოელ სტუდენტებს.

სექტორის ძირითადი მოთამაშეებიდან რამდენიმე:

- Allied Irish Banks (AIB): ერთ-ერთი უმსხვილესი საცალო და კომერციული ბანკი ირლანდიაში, რომელიც საბანკო მომსახურების ფართო სპექტრს სთავაზობს მომხმარებელს
- Dunnes Stores: წამყვანი ირლანდიური საცალო ქსელი, რომელიც გთავაზობთ პროდუქციის მრავალფეროვან ასორტიმენტს, მათ შორის სასურსათო პროდუქტებს, ტანსაცმელს და საყოფაცხოვრებო ნივთებს.

ქვეყნის ადგილი გლობალურ სისტემებში და სტრუქტურებში

ქვეყნის ჰუმანური განვითარების ინდექსი არის სტატისტიკა, რომელიც თავს უყრის სიცოცხლის ხანგრძლივობას, მთლიანი შიდა პროდუქტის და განათლების დონეს. ჰუმანური იგივე ადამიანის განვითარების ინდექსი მიზნად ისახავს, განსაზღვროს როგორც ადამიანის განვითარების დონე, ასევე იმ ქვეყნის განვითარებიც დონეც, რომელიც განსაზღვრავს იმ ჯგუფს, რომელსაც თავად აღნიშნული ქვეყანა განეკუთვნება: განვითარებადი, განვითარებადი თუ დაბაგანვითარებული, ირლანდიის რესპუბლიკის ჰუმანური განვითარების ინდექსი 1990 წლიდან 2021 წლამდე აჩვენებს, რომ 1995 წლის შემდეგ დაიწყო სწრაფი ზრდა, სწორედ ამის ფონზე 2021 წლისთვის ირლანდიას მიენიჭა მაღალგანვითარებული ქვეყნის სტატუსი (World Bank, 2021) .

ქვეყნები, რომელთა მაჩვენებელები 0,700-ზე მეტია ითვლებიან განვითარების მაღალ დონეზე მყოფ ქვეყნებად. ირლანდია უმაღლესი ჰუმანური განვითარების მქონე ქვეყნების ათეულში მე-8 ადგილს იკავებს (0.945) (Statista, 2023). ფაქტი, რომ 1990 წლიდან მოყოლებული ჰუმანური განვითარების ინდექსი წლიდან-წლამდე უმჯობესდებოდა, ნიშნავს იმას, რომ პარალელურად გაუმჯობესდა ადამიანთა ცხოვრების დონე და ხარისხი. მოცემულ დიაგრამაზეც ნათლაც ჩანს, რომ აღნიშნული მონაცემი არ განიცდის დაღმასვლას და წლიდან წლამდე აღინიშნება განვითარების ტენდენციები. თუმცა აქვე გავუსვამ ხაზსს სხვაობას 2009 წლის მონაცემის სხვაობაც, 2008 წლის მონაცემთან შედარებით. 2008 წელს ჰუმანური განვითარების ინდექსი შეადგენდა 899-ს, ხოლო 2009 წელს 895-ს.

შედარებითი ანალიზის გასაკეთებლად, მინდა ირლანდიის მაჩვენებელეი შევადაროე ორ ქვეყანას: 1. ნორვეგიას, რომელიც ჰუმანური განვითარების ინდექსის მიხედვით 2 ადგილზეა მსოფლიოში და 0.957-ს შეადგენს.ორივე ქვეყანას აქვს მაღალი მაჩვენებელი, თუმცა ნორვეგია უსწრებს ირლანდიას. მათ აქვს აქცენტი გაკეთებული: ჯანდაცვაზე, განათლებაზე, ხოვრების დონეზე, რაც შესაბამის შედეგებსაც იძლევა. 2. ჩადი, ცენტრალური აფრიკის ქვეყანა, სადაც 2021 წლის მონაცემების მიხედვით ჰუმანური განვითარების მაჩვენებლის ინდექსი უფრო დაბალია და შეადგენს 0.404-ს, რაც ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ განათლება, ცხოვრების დონე და ჯანდაცვა ნაკლებად განვითარებულია. ჩადი აწყდება ისეთ გამოწვევებს, როგორიცაა სიღარიბე, პოლიტიკური არასტაბილურობა, შეზღუდული ხელმისაწვდომობა განათლებასა და ჯანდაცვაზე. ეს დიდი სხვაობამ აღნიშნულ მაჩვენებლებს შორის, ხაზსს უსვამს, განვითარების უთანასწორობაზე ორ ქვეყანას შორის.

დემოკრატიულობის ინდექსი უზრუნველყოფს დემოკრატიის მდგომარეობის შეფასებას ქვეყნებსა და ტერიტორიებზე, რომელიც ეფუძნება მთელ რიგ ინდიკატორებს, როგორებიცაა: საარჩევნო პროცესები, მთავრობის ფუნქციონირება, პოლიტიკური კულტურა. არსებობს დემოკრატიის ოთხი სახე: სრული დემოკრატიები, ხარვეზიანი დემოკრატიები, ჰიბრიდული რეჟიმები და ავტორიტარული რეჟიმები.რაც შეეხება ირლანდიას და მის ადგილს დემოკრატიული ინდექსის მიხედვით, ირლანდია არის სტაბილური დემოკრატია, რომელშიც პატივს სცემენ და იცავენ პოლიტიკურ უფლებებსა და სამოქალაქო თავისუფლებას. გლობალური დემოკრატიულობის ინდექსის მიხედვით, ირლანდია ქვეყნების პირველ ოცეულში 16 ადგილს იკავებს (Inglis, 2007)

ირლანდია ოფიციალურად მე-13 ყველაზე ბედნიერი ქვეყანაა მსოფლიოში, გაეროს მიერ დაფინანსებული მსოფლიო ბედნერების ინდექსის მიხედვით. ამ ინდექსის მიხედვით ჩრდილოეთ ევროპელები, განსაკუთრებით კი ფინეთი, ზედიზედ მე-5 წელის პირველ ადგილს იკავებს. მსოფლიო ბედნიერების ინდექსმა ომის შედეგად დაზარალებული ავღანეთი ყველაზე უბედურ ქვეყანად დაასახელა (Breaking News, 2022).

გლობალურ და რეგიონალურ ორგანიზაციებში მონაწილეობა

ირლანდია განვითარებული ქვეყნის სტატუსით სარგებლობს და მსოფლიოს მასშტაბით ბევრი მაჩვენებლის მიხედვით ლიდერი ქვეყნის სტატუს ირგებს, აქედან გამომდინარე ბუნებრივია, რომ ირლანდია არაერთი გლობალური და რეგიონალური ორგანიზაციის ნაწილია.

პირველ რიგში ავღნიშნავ, რომ ირლანდია ევროკავშირის წევრი ქვეყანაა 1973 წლიდან, შესაბამიას მონაწილეობს გადაწყვეტილეების მიღების პროცესშო, ირჩევს ევროპარლამენტარებს, რომლებიც მის ინტერესებს წარმოადგენენ ევროპარლამენტში (Barry, 2003).

ასევე ირლანდია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ქვეყანაა, რომელიც ხელს უჭერს გაეროს პრინციპებსა და ამოცანებს, ხელს უწყობს სამშვიდობო მისიებში და მხარს უჭერს გლობალურ საკითხებს, როგორიცაა ადამიანის უფლებები, მდგრადი განვითარება და განიარაღება.

ირლანდია არის ეუთოს მონაწილე სახელმწიფო, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს მშვიდობას, დემოკრატიას და უსაფრთხოებას ევროპაში. ირლანდია ეწევა დიალოგს, თანამშრომლობს უსაფრთხოების საკითხებზე და მონაწილეობს ეუთოს სხვადასხვა ინიციატივებში, მათ შორის არჩევნების მონიტორინგისა და კონფლიქტების მოგვარების მცდელობებში.

ირლანდია არის საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის წევრი, რომლებიც წარმოადგენენ გლობალურ ფინანსურ ინსტიტუტებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ფინანსურ დახმარებას, რჩევებსა და მხარდაჭერას ეკონომიკის განვითარებისა და სტაბილურობისთვის მთელ მსოფლიოში. ირლანდია მონაწილეობს ამ

ორგანიზაციების გადაწყვეტილების მიღების პროცესში და სარგებლობს მათი პროგრამებითა და რესურსებით.

ეს მხოლოდ რამდენიმე მაგალითია გლობალური და რეგიონული ორგანიზაციებისა, რომლებშიც ირლანდია აქტიურად მონაწილეობს. აღსანიშნავია, რომ ირლანდიის ჩართულობა ამ ორგანიზაციებში შეიძლება განვითარდეს დროთა განმავლობაში და მოსალოდნელია, რომ ხელი სეუწყოს ირლანიიდს პოტენციალის უკეთესად რეალიზებაც და ეკონომიკის კიდევ უფრო სწრაფი ტემპით ზრდას.

გამოყენებული ლიტერატურა:

Barry, F. (2003). Irish economic development over three decades of EU membership. *ResearchGate*, 17-22.

Breaking News. (2022). Retrieved from Ireland officially the 13th happiest country in the world: https://www.breakingnews.ie/ireland/ireland-officially-the-13th-happiest-country-in-the-world-1276292.html

Britannica. (2021). Retrieved from Ethnic groups, language, and religion: https://www.britannica.com/place/Ireland/Ethnic-groups-language-and-religion

Britannica. (2022). Retrieved from Irish language: https://www.britannica.com/topic/Irish-language

Britannica. (2022). Retrieved from Ethnic groups, language, and religion: https://www.britannica.com/place/Ireland/Ethnic-groups-language-and-religion

Carter, B. (2023, January 23). *Euronews*. Retrieved from The slow Death of Ireland's Fishing Industry: https://www.euronews.com/2023/01/19/the-slow-death-of-irelands-fishing-industry

CIA. (2023). Retrieved from Explore All Countries - Ireland: https://www.cia.gov/the-world-factbook/countries/ireland/

Deloitte. (n.d.). Retrieved from Irish Construction Sector continues to see growth: https://www2.deloitte.com/ie/en/pages/deloitte-private/articles/irish-construction-sector-growth.html

European Commision. (2023). Retrieved from Ireland - ECSO country fact sheet: https://single-market-economy.ec.europa.eu/sectors/construction/observatory/country-fact-sheets/ireland_en

Inglis, T. (2007). Global Ireland: Same Difference. *ResearchGate*, 8-19.

Ireland. (2023, June 23). Retrieved from Worldometer: https://www.worldometers.info/world-population/ireland-population/

Mccormack, M., Buckley, C., & Kelly, E. (2022). Irish Journal of Agricultural and Food Research. *ResearchGate*, 15-16. Retrieved from https://www.researchgate.net/publication/361724393_Irish_Journal_of_Agricultural_and_Food_Research

O'Neill, A. (2023, May 24). *Ireland: Distribution of employment by economic sector from 2011 to 2021*. Retrieved from Statista: https://www.statista.com/statistics/377005/employment-by-economic-sector-in-ireland/

Population and Migration - Irland. (2023). Retrieved from EMN: https://emn.ie/population-and-migration-estimates-2022-show-population-growth-driven-by-large-increase-in-migration/

Statista. (2022). Retrieved from Gross Domestic Product (GDP) in Ireland: https://www.statista.com/statistics/375217/gross-domestic-product-gdp-in-ireland/

Statista. (2023). Retrieved from HDP of Ireland: https://www.statista.com/statistics/878318/human-development-index-of-ireland/

Teagasc. (2023). Retrieved from Agriculture in Ireland: https://www.teagasc.ie/rural-economy/rural-economy/agri-food-business/agriculture-in-ireland/

Total Population of Ireland. (2022). Retrieved from World Bank: https://data.worldbank.org/indicator/SP.POP.TOTL?locations=IE

UN. (2023). Retrieved from Country Profile - Ireland: https://www.un.org/esa/earthsummit/irlan-cp.htm

World Bank. (2021). Retrieved from Country Indicator - Ireland: https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.PCAP.CD?locations=IE

World Data. (2021). Retrieved from Indicators of economy in Ireland: https://www.worlddata.info/europe/ireland/economy.php

World Data. (2022). Retrieved from Indicators of economy in Ireland: https://www.worlddata.info/europe/ireland/economy.php